ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3001138

ნომერი: AR1462627

თარიღი : 08.12.2016

გაცემის თარიღი : 20.12.2016

გაცნობის თარიღი : 20.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის , (ნაკვეთი 09/033) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯამათა ჩარკვიანი პ/ნ 12001061760
- გარდაბანი ლელაშხას დას.

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 ოქტომბრის #2910715 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 08

დეკემბერს #AR1462627 განცხადებით მომართა ჯამათა ჩარკვიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 26 ოქტომბრის #2910715 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 ოქტომბრის #2910715 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.10.06.009.044) მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის #2946032 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 18 ნოემბრიდან 2017 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის #2946032 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს „აკა“. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #882016840755, მომზადების თარიღი: 06/12/2016 წ., ს/კ: #01.10.06.009.044) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „აკა“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #B15235287; მომზადების თარიღი: 08/12/2015 წ.; ს/კ: #404983791) თანახმად, შპს „აკა“-ს დირექტორს წარმოადგენს ჯამათა ჩარკვიანი.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 ოქტომბრის #2910715 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 996.0 კვ.მ–ის ნაცვლად 963.6 კვ.მ-ის, გამორჩენილ დამხმარე ფართობად - 33.6 კვ.მ-ის, ხოლო, საერთო ფართობად 7898.6 კვ.მ–ის ნაცვლად 7899.8 კვ.მ–ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 ოქტომბრის #2910715 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 ოქტომბრის #2910715 ბრძანებაში, კერძოდ: კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 963.6 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 33.6 კვ.მ., საერთო ფართობად - 7899.8 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 ოქტომბრის #2910715 ბრძანებით შეთანხმებული +3.50, +6.80, +10.10, +13.40, +16.70, +20.00, +23.30, +26.60, +29.90, +33.20, +36.50 ნიშნულებზე მდებარე გეგმები ჩანაცვლდეს 2016 წლის 08 დეკემბრის #AR1462627 განცხადების შეტყობინებით წარმოდგენილი -+3.50, +6.80, +10.10, +13.40, +16.70, +20.00, +23.30, +26.60, +29.90, +33.20, +36.50 ნიშნულებზე მდებარე გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 ოქტომბრის #2910715 ბრძანების სხვა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 26 ოქტომბრის #2910715 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.